

ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია - ცნობიერება,  
დამოკიდებულებები და მითები

ელენე ბერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების  
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია ჯამასპიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2023

## აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის შესახებ ცნობიერების, დამოკიდებულებებისა და მითების კვლევას სპეციალისტებსა და მშობლებს შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20 სხვადასხვა სფეროს სპეციალისტმა, მათ შორის, 12 სპეციალისტი იყო თბილისიდან, ხოლო 8 - საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. გარდა ამისა, კვლევაში ჩართული იყო დაუნის სინდრომის, აუტიზმის სპექტრის და ცერებრული დამბლის დიაგნოზის მქონე ბავშვთა 25 მშობელი, როგორც თბილისიდან (6), ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (14). მონაწილეებთან ონლაინ, Zoom პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები. ინტერვიუს ტრანსკრიპტები დამუშავდა, როგორც აღწერითი, ასევე, რაოდენობრივი სტატისტიკის მეშვეობით. შედეგებმა ცხადყო მონაწილეთა შორის ააკ-ს შესახებ დაბალი ცნობიერება. ასევე, დამოკიდებულებების ნაწილში აღინიშნება დისონანსი, ისინი ასახელებდნენ ააკ-ს გამოყენების დადებით მხარეებს, თუმცა უარს ამბობენ საკუთარ შვილთან ან პრაქტიკაში გამოყენებაზე, რაც მიუთითებს მონაწილეთა შეხედულებებს შორის თანმიმდევრულობის ნაკლებობაზე. მშობელთა ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა და დადასტურდა ააკ-სთან დაკავშირებული 6 მითი. ხოლო, სპეციალისტების შემთხვევაში დადასტურდა 4 მითი.

კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ააკ-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების და მხარდამჭრი გარემოს ხელშეწყობის საჭიროებას საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია, მითები, დამოკიდებულებები, ცნობიერება

## Abstract

This qualitative research aimed to explore attitudes, information, and myths surrounding Augmentative and Alternative Communication (AAC) in Georgia. The study involved a total of 20 participants, including 12 specialists from Tbilisi and 8 specialists from various regions who are working with children with communication needs and their parents. Additionally, 25 parents whose children have Down syndrome, cerebral palsy, or autism spectrum disorder were included from both Tbilisi and the regions.

Semi-structured interviews were conducted with participants using the Zoom platform, and the resulting interview transcripts were subjected to both quantitative and qualitative analysis. The findings revealed a significant lack of information about AAC among the participants. Attitudes towards AAC were found to be in dissonance, indicating a lack of consensus or coherence among the participants' viewpoints.

The analysis also identified and confirmed six prevailing myths related to AAC, which were reported by both parents and specialists. Among the specialists, four myths were confirmed, while two were not. These findings shed light on the current understanding and perceptions surrounding AAC in Georgia, emphasizing the need for educational interventions and awareness campaigns to address the knowledge gaps and misconceptions observed.

The results of this study have important implications for practitioners, policymakers, and researchers in the field of AAC, as they highlight the necessity of targeted efforts to enhance knowledge, correct misconceptions, and promote a more informed and supportive environment for individuals utilizing AAC systems in Georgia.

**Key words:** Alternative and Augmentative Communication, Myths, Attitudes, information.